

სს „გუდვილი“

მმართველობის და ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
მმართველობის ანგარიშგება	1
მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	
1. კორპორაციული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დამკვეთები	14
5. შემოსავალი	14
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
7. კომერციული და დისტრიბუციის დანახარჯები	15
8. ადმინისტრაციული დანახარჯები	15
9. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი	16
10. სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	16
11. ძირითადი საშუალებები	17
12. გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	18
13. მარაგები	18
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
15. ფული და ფულის ექვივალენტები	19
16. რეაბილიტაციის ვალდებულებები	20
17. ფინანსური იჯარა	21
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
19. მიღებული სესხები	22
20. კაპიტალი	22
21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მენეჯმენტი	22
22. პირობითი ვალდებულებები	24
23. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების, კერძოდ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილის - საქმიანობის მიმოხილვის ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე ჩვენი პასუხისმგებლობაა, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჩვენი აუდიტის საფუძველზე შემდეგ ფინანსურ უწყისებზე: წინასწარი სპეციალური დანიშნულების 2017 წლის მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე
წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წინასწარი სპეციალური დანიშნულების კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენ ვატარებთ აუდიტს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სტანდარტები მოითხოვს ჩვენგან ეთიკურ ქცევას დაგეგმვისა და აუდიტის შესრულების მომენტში, რათა გამოვთქვათ სანდო მოსაზრება იმის შესახებ, არის თუ არა მატერიალური შეცდომები ფინანსურ უწყისებში.

აუდიტი მოიცავს პროცედურებს, რომლებიც ემსახურება აუდიტორული მტკიცებულების მოძიებას ფინანსურ უწყისებსა და განმარტებით შენიშვნებზე. პროცედურების განხორციელება დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, აღმოაჩინოს ფაქტობრივი რისკები ფინანსურ უწყისებში, იქნება ეს შეცდომა თუ თაღლითობა. რისკების შეფასების პროცესში, აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის არსებობას ფინანსური უწყისების მომზადების პროცესში და ამის შემდეგ გეგმავს პროცედურებს ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებზე მოსაზრების გამოსათქმელად, და არა შიდა კონტროლის შესაფასებლად. აუდიტორი ასევე აფასებს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას, მენეჯმენტის საბუღალტრო შეფასების გონივრულობას და ბოლოს - ფინანსური უწყისების წარდგენის წესს.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაბამისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან კომპანიას ამ პერიოდზე არ ჩატარებია აღნიშნული პროცედურა. ჩვენ ვერ შევძელით მიგველო მტკიცებულება ძირითადი საშუალებების რაოდენობებთან დაკავშირებით ალტერნატიული პროცედურების ჩატარებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით და ასევე სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს არსებითი ასპექტების გათვალისწინებით.

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითი ასპექტების გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდისთვის (2017 წელი) და არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სხვა პერიოდებთან მიმართებაში, მათ შორის არც 2016 წელზე.

მნიშვნელოვანი გარემოებები

კომპანიის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წლიური ანგარიშგებები მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელზეც დამატებითი განმარტებები გაკეთებულია მომზადების საფუძველის შესახებ - მე-2 განმარტებითი შენიშვნაში.

მენეჯმენტისა და მეწილეებისთვის:

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი კომპანიის ფინანსურ უწყისებს, რომლებიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ. #SARAS-F-344896)

ეკა რუხაძე (რეგ. SARAS-A-872602)

30 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო



ATAfinancial
Audit

www.atapartners.ge

+995 032 243 22 81

office@atapartners.ge

11 St. Afakidze, 0171, Tbilisi, Georgia

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითი ასპექტების გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდისთვის (2017 წელი) და არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სხვა პერიოდებთან მიმართებაში, მათ შორის არც 2016 წელზე.

მნიშვნელოვანი გარემოებები

კომპანიის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წლიური ანგარიშგებები მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელზეც დამატებითი განმარტებები გაკეთებულია მომზადების საფუძველის შესახებ - მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

მენეჯმენტისა და მეწილეებისთვის:

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი კომპანიის ფინანსურ უწყისებს, რომლებიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)
ეკა რუხაძე (რეგ.SARAS-A-872602)

30 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო

ATAfinancial
Audit

www.atapartners.ge

+995 032 243 22 81 

office@atapartners.ge 

11 St Afakidze , 0171, Tbilisi, Georgia 

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

„გუდვილი“ არის სააქციო საზოგადოება („კომპანია“), რომელიც დაარსებულია საქართველოში, 2009 წლის სექტემბერში. კომპანია დაფუძნდა როგორც შპს „ჯიმარტი“ და 2012 წლის 15 მაისს შეიცვალა სახელწოდება და რეგისტრირებულ იქნა როგორც, შპს „გუდვილი“. 2014 წელს კომპანიამ შეიცვალა ორგანიზაციული ფორმა და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

გუდვილი პირველი ჰიპერმარკეტების ქსელია საქართველოში. სს გუდვილის ძირითადი საქმიანობა არის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია პროდუქციას ყიდულობს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზარზე. კომპანია პროდუქციას ძირითადად ყიდულობს ადგილობრივი მწარმოებლებისგან და დისტრიბუტორებისგან. კომპანია ასევე აწარმოებს და ყიდის პროდუქციას.

კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს შეძენილი პროდუქტის ღირებულებას, არა დაბრუნებად გადასახადებს და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანია დამოუკიდებელია კლიენტებთან ურთიერთობისას და თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს გაყიდვის პირობებთან დაკავშირებით.

კომპანიის მიერ შეძენილი პროდუქცია იყიდება საქართველოში. გუდვილს აქვს 8 ფილიალი ქვეყნის 3 ქალაქში: 4 ლოკაცია თბილისში, 3 ბათუმში და 1 გორში. ფილიალების გარდა კომპანიას აქვს ონლაინ მაღაზიის სერვისიც. პროდუქციის რეალიზაციის გარდა, კომპანია აქირავებს მის საკუთრებაში მყოფ ფართს, ამასთან მომხმარებელს სთავაზობს ქეითერინგის სერვისს. პროდუქციის სარეალიზაციო ფასი დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ ფასსა და პროდუქციის თვითღირებულებაზე.

კომპანია მომავალში გეგმავს გააგრძელოს მუშაობა არსებული ბიზნეს მოდელით. აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე, კომპანიის ოპერირების მთავარი რისკებია, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, მოთხოვნა და საქართველოს ბაზარზე არსებული კონკურენცია.

სს „გუდვილი“

მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2017
შემოსავალი	5	116,481
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(86,806)
საერთო მოგება		29,675
ადმინისტრაციული დანახარჯები	8	(25,281)
კომერციული და დისტრიბუციის დანახარჯები	7	(2,009)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10.1	421
სხვა საოპერაციო ხარჯი	10.2	(2,904)
საოპერაციო ზარალი		(98)
ფინანსური ხარჯი	9	(142)
ფინანსური შემოსავალი	9	24
საკურსო სხვაობა		348
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		132
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება წლის განმავლობაში		132
წლის სრული შემოსავალი		132

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 30 სექტემბრის



სს „გუდვილი“

მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2017
შემოსავალი	5	116,481
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(86,806)
საერთო მოგება		29,675
ადმინისტრაციული დანახარჯები	8	(25,281)
კომერციული და დისტრიბუციის დანახარჯები	7	(2,009)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10.1	421
სხვა საოპერაციო ხარჯი	10.2	(2,904)
საოპერაციო ზარალი		(98)
ფინანსური ხარჯი	9	(142)
ფინანსური შემოსავალი	9	24
საკურსო სხვაობა		348
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		132
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება წლის განმავლობაში		132
წლის სრული შემოსავალი		132

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 30 სექტემბრის

გიორგი ხაბაშვილი
გენერალური დირექტორი

გიორგი ჩაგელიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „გუდვილი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	4,365	3,213
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	12	7,266	7,266
არამატერიალური აქტივები		26	18
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,657	10,497
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	13,757	13,464
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	2,400	3,058
გაცემული ავანსები		1,845	837
წინსაწარ გადახდილი გადასახადები		495	274
ფული და ფულის ექვივალენტები	15	3,667	2,240
სულ მოკლევადიანი აქტივები		22,164	19,873
სულ აქტივები		33,821	30,370
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20	5,680	5,680
გაუნაწილებელი მოგება	20	(26,149)	(26,281)
სულ კაპიტალი		(20,469)	(20,601)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
რეაბილიტაციის ვალდებულებები	16	23,054	28,144
ფინანსური იჯარა	17	1,071	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		24,125	28,144
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მიმდინარე ნაწილი	19	729	1,189
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	17	604	-
მიმდინარე მოგების გადასახადი		17	-
საგადასახადო დავალიანება(მოგების გადასახადის გარდა)		198	250
რეაბილიტაციის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	16	5,089	1,349
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	21,481	18,199
რეზერვი	22	158	-
მიღებული ავანსები		1,889	1,840
სულ მიმდინარე ვალდებულებები		30,165	22,827
სულ ვალდებულებები		54,290	50,971
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,821	30,370

სს „გუდვილი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვარი	5,680	(26,281)	(20,601)
წმინდა მოგება წლის განმავლობაში		132	132
2017 წლის 31 დეკემბერი	5,680	(26,149)	(20,469)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2017
საოპერაციო საქმიანობა		
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		132
კორექტირებები :		
ცვეთა და ამორტიზაცია		621
(შემოსავალი) / ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(3)
ფინანსური ხარჯი		142
ფინანსური შემოსავალი		(24)
რეზერვები		158
		1,026
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება:		
ცვლილებები მარაგებში		(293)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		658
ცვლილებები გაცემულ ავანსებში		(1,008)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(221)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,282
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		48
ცვლილებები საგადასახადო დავალიანებებში		(34)
		2,432
გადახდილი პროცენტი		(127)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,331
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა		(2,103)
ძირითადი საშუალების გაყიდვა		1,976
მიღებული პროცენტი		24
		(103)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(103)
ფინანსური საქმიანობა		
ძველი ვალის გადახდა (რეაბილიტაციის გეგმა)		(1,349)
სესხების დაფარვა		(420)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(1,769)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების		1,459
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	15	2,240
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე		(32)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	15	3,667

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

1. კორპორაციული ინფორმაცია

სს „გუდვილი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წლის 3 სექტემბერს. კომპანია დაფუძნდა როგორც შპს „ჯიმარტი“ და 2012 წლის 15 მაისს შეიცვალა სახელწოდება და რეგისტრირებულ იქნა როგორც, შპს „გუდვილი“. 2014 წლის 5 მაისიდან კი კომპანიას შეეცვალა სამართლებრივი ფორმა და რეგისტრირებული იქნა როგორც სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №9. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა. ამასთან კომპანიას გააჩნია საკუთარი წარმოების პროდუქცია.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილის აქციები გადანაწილებულია შემდეგნაირად: გიორგი შევარდნაძე - 65%; გიორგი მახათაძე - 30%; დავით გლუნჩაძე - 5%;

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის მიერ ფასს-ის გამოყენების ფარგლებში, ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის სს „გუდვილის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებული კურსით.

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაფასდება ანგარიშგების მომზადების თარიღის მიხედვით. ყველა განსხვავება მიდის სრულ შემოსავალში. არა მონეტარული ანგარიშები შეფასდება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული კურსის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან გაკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ღირებულება მოიცავს ძირითად საშუალებების ნაწილების შეცვლის ღირებულებას და გრძელვადიანი კონსტრუქციების პროექტების ღირებულებას, თუ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს.

3.3.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს შესაბამისად. ასევე, როდესაც ხორციელდება კაპიტალური დანახარჯი, იგი აღიარებულია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა სხვა შეკეთებისა და შენახვის ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი ხარჯის მიმდინარე ღირებულება აქტივის გაუქმებისას, შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ კრიტერიუმები აღიარებისათვის დაკმაყოფილდა.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) ხდება იმ პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს ნაწილი გაზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ უბრალოდ შეიცვლება, ნარჩუნდება, ან აღდგება მისი მდგომარეობა და შემოსავალი არ გაიზრდება მაშინ, ამ ნაწილის ღირებულება იქნება პერიოდის ხარჯი.

3.3.3 ცვეთა

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში ასეთია:

შენობები	30-50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	2-10 წლამდე
მანქანები	2-10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	2-10 წლამდე
ავეჯი და სწვა ინვენტარი	2-10 წლამდე
სხვა	3-10 წლამდე

ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადი საშუალებების ცვეთის მეთოდი განხილულია ყოველ საანგარიშგებო წლისთვის.

3.4 არამატერიალური აქტივები

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში ასეთია:

პროგრამული უზრუნველყოფა	10 წელი
-------------------------	---------

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების 10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

3.5 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის ფინანსური იჯარა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება როგორც აქტივი და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში.

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიცა და ანაზღაურებაც არის მოიჯარის ხელში, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია ასახავს საოპერაციო იჯარით გაცემულ აქტივებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის ბუნების შესაბამისად. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდში, როგორც სხვა შემოსავალი. მოიჯარისათვის შეთავაზებული სტიმულირების ხარჯები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება იჯარის პერიოდში წრფივი მეთოდით. საწყისი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც გაწეულია კონკრეტულად საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის მისაღებად, ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულების კალკულაცია ხდება ფაიფო მეთოდით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.7 შემოსავლები

შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ მიუხედავად იმისა როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.8 გადასახადები

3.8.1 მოგების გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა განაწილებისას გადასახდელი გადასახადი 15%-ის ტოლია.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.8.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღე-ს გარეშე წმინდა ღირებულებით, გარდა:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ან მომსახურების შეძენისას გაწეული გაყიდვების გადასახადი არ არის ამოღებული საგადასახადო ორგანოდან. ამ შემთხვევაში, გაყიდვების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯების ნაწილად, როგორც ეს შესაძლებელია.
- ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს დამატებულ ღირებულების გადასახადს.

წმინდა ღირებულების რაოდენობა დამატებითი ღირებულებიდან ანაზღაურებული ან გადასახდელი საგადასახადო ორგანოსთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება როგორც ვალდებულება ან მოთხოვნა.

3.9 ნაღდი ფული და მასთან გათანაბრებული აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და დეპოზიტებით, რომლებიც განთავსებულია სამი თვით ან ნაკლები ვადით, რომელთა კონვერტირება დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

3.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.12 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, ყველას სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.13 გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.14 ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მისი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - საბოლოო ვერსია, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს (IFRS) 9 ყველა წინა ვერსია. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. 2017 წლის ივლისის გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის პოტენციურ გავლენას.

ფასს 15

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ფასს 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ მრავალ ელემენტებს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 15-ის პოტენციურ გავლენას.

ფასს 16

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან).

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი სამხილი გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 998 ლარის ოდენობის გაუფასურების რეზერვი არის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების საუკეთესო შეფასება.

კომპანია ჰყოფს სავაჭრო მოთხოვნებს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით და საკუთარი ისტორიულ შედეგებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, თითოეულ კატეგორიას უყენებს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება ეფუძნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების შესაბამისად. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ ცვეთას და იმ გარემოს, სადაც აქტივის გამოყენება ხდება. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილება იწვევს მომავალი ცვეთის ნორმების კორექტირებას.

5. შემოსავალი

	2017 წლის 31 დეკემბერი
საცალო	104,173
საბითუმო	7,039
მარკეტინგული შემოსავალი (ა)	3,715
საიჯარო შემოსავალი	810
სხვა შემოსავალი (ბ)	744
სულ შემოსავალი	116,481

ა) მარკეტინგული შემოსავალი მოიცავს სარეკლამო ადგილების და პრომო თაროების გაქირავებიდან მიღებულ შემოსავალს. ასევე, სს „გუდვილის“ მაღაზიათა ქსელში პირველად შესვლის საფასურს.

ბ) სხვა შემოსავლები ძირითადად შედგება მომზადებული საკვების რეალიზაციიდან და ინტერნეტ მაღაზიით რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან.

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2017 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	85,416
მიმდინარე რემონტის დანახარჯები	506
ბონუს ბარათებით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	366
ძირითადი მასალების დანახარჯი	271
დამხმარე მასალების დანახარჯები	232
სხვა	15
სულ	86,806

7. კომერციული და დისტრიბუციის დანახარჯები

	2017 წლის 31 დეკემბერი
ტრანსპორტირების ხარჯი	1,207
მარკეტინგული დანახარჯები	567
სხვა დანახარჯები (ა)	235
სულ	2,009

ა) სხვა დანახარჯები შედგება შიდა გადაზიდვების დროს გამოყენებული ბენზინის ხარჯისგან და თანამშრომლების ხელფასისგან.

8. ადმინისტრაციული დანახარჯები

	2017 წლის 31 დეკემბერი
ხელფასი	11,751
იჯარა	6,962
კომუნალური	2,535
ტერმინალის და ბანკის მომსახურების საკომისიო	764
ცვეთა და ამორტიზაცია	621
საკონსულტაციო მომსახურება	596
დასუფთავება	492
გადასახადები	326
დაზღვევა	310
კომუნიკაცია	114
დაცვა	62
სხვა	748
სულ	25,281

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

9. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

	2017 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	83
საპროცენტო ხარჯი გარანტიებზე	44
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	15
სულ ფინანსური ხარჯი	142
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე	24
სულ ფინანსური შემოსავალი	24

10. სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

10.1 სხვა საოპერაციო შემოსავლები

	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავლები საქონლის უსასყიდლოდ მოწოდებიდან (ა)	310
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	111
სულ	421

ა) უსასყიდლოდ მიღებული პროდუქცია, მათ შორის ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ზედმეტობა.

10.2 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017 წლის 31 დეკემბერი
მარაგების დანაკლისი (ა)	1,239
მარაგების ჩამოფასება (ბ)	395
რეზერვები	1,156
სხვა	114
სულ	2,904

ა) ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი დანაკლისების ჩამოწერა. ამასთან უვარგისი მარაგების ჩამოწერა საგადასახადო აგენტის მეშვეობით.

ბ) დაზიანების, გაფუჭების ან ფასის შემცირების შედეგად ჩამოწერილი მარაგების ხარჯები.

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შენიშვნა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სხვა აქტივები	იჯარით აღებული ქონება	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარი	92	543	150	1,368	580	197	782	230	3,942
შემოსვლა	-	4	22	54	-	9	1,271	425	1,785
შიდა მოძრაობა	-	-	51	(2)	-	17	(12)	(54)	-
გასვლა	-	-	-	(1)	(12)	-	-	-	(13)
2017 წლის 31 დეკემბერი	92	547	223	1,419	568	223	2,041	601	5,714
დაგროვილი ცვეთა									
2017 წლის 1 იანვარი	9	89	35	96	268	57	175	-	729
ცვეთა	3	70	30	263	55	37	169	-	627
გასვლა	-	-	-	-	-	-	(7)	-	(7)
31 დეკემბერი 2017	12	159	65	359	323	94	337	-	1,349
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2017 წლის 1 იანვარი	83	454	115	1,272	312	140	607	230	3,213
2017 წლის 31 დეკემბერი	80	388	158	1,060	245	129	1,704	601	4,365

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

12. გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი მოთხოვნა დაკავშირებულ მხარესთან	7,266	7,266

აღნიშნული მოთხოვნა არის მოთხოვნა შპს „მარშესადმი“, რომელიც იმყოფება რეაბილიტაციის პროცესში და გადახდებს სასამართლოს მიერ გაწერილი სქემის მიხედვით დაიწყებს 2025 წლიდან.

13. მარაგები

მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
გასაყიდი მარაგები	11,667	12,359
სხვა მარაგები	838	135
ნედლეული და მასალები	650	558
შესაფუთი მასალა	296	199
დასრულებული პროდუქცია	56	25
სხვა	250	188
სულ	13,757	13,464

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2017 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,492	4,152
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	4,492	4,152
რეზერვი	(2,092)	(1,094)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნეტი	2,400	3,058

2017 წლის 1 იანვარი

დარიცხვა

2017 წლის 31 დეკემბერი

რეზერვი

1,094

998

2,092

თარიღი	სულ სავაჭრო მოთხოვნები	<30 days	30-90 days	90-120 days	>120 days
2017 წლის 31 დეკემბერი	4,492	1,173	1,150	77	2,092
2017 წლის 1 იანვარი	4,152	1,574	492	134	1,952

15. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ფული ბანკში	738	718
ფული სალაროში	2,929	1,522
	3,667	2,240

ფულს ბანკში ერიცხება საშუალოდ 5%-მდე საპროცენტო სარგებელი

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

16. რეაბილიტაციის ვალდებულებები

რეაბილიტაციის ვალდებულებები გრძელვადიანი

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
გარანტიები დაკავშირებულ კომპანიებთან	314	381
სავაჭრო მოთხოვნები	22,304	26,245
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	3	1,003
გადასახდელი იჯარა	317	374
სესხი დაკავშირებული მხარისგან	116	141
სულ	23,054	28,144

რეაბილიტაციის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
გარანტიები დაკავშირებულ კომპანიებთან	67	-
სავაჭრო მოთხოვნები	3,940	-
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,000	1,349
გადასახდელი იჯარა	57	-
სესხი დაკავშირებული მხარისგან	25	-
სულ	5,089	1,349

2013 წლის 30 სექტემბერს კომპანიამ დაიწყო გადახდისუნარიობის (გაკოტრება, რეაბილიტაცია) საქმის წარმოება. 2014 წლის 24 ივნისს დასრულდა რეაბილიტაციის საბოლოო გეგმის შემუშავება, რომელიც 2014 წლის 27 ივნისს იქნა დამტკიცებული და მის შესაბამისად, მოხდა დამფუძნებელი პარტნიორი გადაწყვეტილების მიღება, რომლის თანახმადაც კომპანიას შეეცვალა სამართლებრივი ფორმა და რეგისტრირებულ იქნა, როგორც სააქციო საზოგადოება.

კომპანია გრაფიკის მიხედვით იხდის დაკისრებულ ვალდებულებებს და 2018 წლის პირველ ნახევარში დაასრულა მე-4 თანრიგის კრედიტორთა დავალიანების გასტუმრება და დაიწყო მე-6 თანრიგის კრედიტორების დაკმაყოფილება შესაბამისი დადგენილი გრაფიკით.

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

17. ფინანსური იჯარა

	იჯარა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ერთი წლის განმავლობაში	604
ერთ წელზე მეტი მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა	1,665
სულ მინიმალური გადასახდელები	2,269
მინუს საპროცენტო ხარჯი	(594)
მინიმალური გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	1,675

	იჯარა
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
ერთი წლის განმავლობაში	
ერთ წელზე მეტი მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა	-
სულ მინიმალური გადასახდელები	-
მინუს საპროცენტო ხარჯი	-
მინიმალური გადასახდელების დღევანდელი ღირებულება	-

საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 15 ლარი.

2017 წელს ახალი ობიექტის გახსნასთან დაკავშირებით, სს “გუდვილმა” გააფორმა ლიზინგის გენერალური ხელშეკრულება თიბისი ლიზინგთან. კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები რის შემდეგაც ისინი მიყიდა თიბისი ლიზინგს და გააფორმა უკუიჯარის სალიზინგო ხელშეკრულება.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	18,091	14,168
საიჯარო ვალდებულებები	2,872	3,622
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	518	409
	21,481	18,199

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

19. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ხანდაზმულობა	ვალუტა	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
	%				
ადგილობრივი დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	9.10%	6/1/2019	USD	729	1,189
				729	1,189

კომპანიამ 2016 წელს აიღო არა უზრუნველყოფილი სესხი თი ბი სი ბანკისგან. სესხის აღების მიზანი იყო ძირითადი საშუალებების შეძენა. სესხის სრული ოდენობის კლასიფიცირება მოხდა, როგორც მიმდინარე, ვინაიდან დარღვეულია ხელშეკრულებაში ჩადებული არა-ფინანსური კოვენანტები.

საპროცენტო ხარჯმა სესხზე 2017 წელს შეადგინა 83 ლარი (2016 წელს 0 ლარი).

20. კაპიტალი

20.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს იყო 5,680 ლარი, ამ პერიოდის განმავლობაში მფლობელობის სტრუქტურაში ცვლილება არ ყოფილა.

20.2 დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას შეუძლია თავისი მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება, თუმცა ვინაიდან კომპანია იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში, მას დივიდენდის გაცემა არ შეუძლია. დივიდენდის გაცემა აღნიშნულ პერიოდში არ მომხდარა.

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მენეჯმენტი

21.1 განხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები, მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ოპერაციების დაფინანსება და ოპერაციების გარანტირება.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ნაღდი ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები, რომელიც პირდაპირ ოპერაციებიდან შემოდის.

კომპანია დაუცველია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკის მიმართ. კომპანიის უფროსი მენეჯმენტი ზედამხედველობს ამ რისკების მართვის პროცესს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მენეჯმენტი (გაგრძელება)

21.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტორი არ შეასრულებს საკუთარ ვალდებულებას ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგებს. კომპანია დაუცველია იმ საკრედიტო რისკების მიმართ, რომლებიც წარმოშობლია საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები), და ფინანსური ქმედებებიდან: ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული დეპოზიტები, უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები.

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,400	3,058
ფული და ფულის ექვივალენტები	3,667	2,240
	6,067	5,298

21.3 ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ლიკვიდურობის რისკი მდგომარეობს იმაში რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში გააჩნდა შემდეგი ვალდებულებები.

	ერთ წლამდე
სესხები	729
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,481
რეაბილიტაციის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	5,089
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	604
სულ	27,903

21.4 საბაზრო რისკი

აღნიშნული რისკი შესაძლოა გაჩნდეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის მერყეობის შედეგად. ქვეყანაში არსებული მერყეობები აისახება კომპანიაზე იმდენად, რამდენადაც სავალუტო და საკურსო ცვლილებები აისახება კომპანიის მომწოდებლებზე.

21.5 სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები სავარაუდოდ ემთხვევა მათ საბალანსო ღირებულებებს, მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

22. პირობითი ვალდებულებები

22.1 საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან, თუმცა შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუ შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოცემულ ინტერპრეტაციებს. როცა ამის შესაძლებლობა არის მაღალი, კომპანია ქმნის რეზერვებს.

22.2 გამოუყენებელი შვებულება

2017 წლის 1 იანვარი

წლის ხარჯი

2017 წლის 31 დეკემბერი

გამოუყენებელი შვებულება

-

158

158

22.3 გარანტიები

სს გუდვილს გაფორმებული აქვს საბანკო გარანტიის ხელშეკრულება სს თი ბი სი ბანკთან (469,085 დოლარი, თანხა მითითებულია ერთეულების სიზუსტით) და სს ბაზის ბანკთან (180 000 დოლარი, თანხა მითითებულია ერთეულების სიზუსტით). გარანტიის აუცილებლობა გამომდინარეობს საიჯარო ხელშეკრულების მოთხოვნებიდან. საიჯარო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბანკი ანაზღაურებს სს „გუდვილის“ ვალდებულებებს. საბანკო გარანტიის სახით გუდვილს ზემოთ ხსენებულ ბანკების ანგარიშებზე განთავსებული და ბლოკირებული აქვს საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვნილი თანხები.

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

23. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და მათთან დაკავშირებული ოპერაციები 31/12/2017 მდოგმარებით

	ურთიერთობა	ნაშთი 31/12/2017	ნაშთი 1/1/2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნა			
გიორგი შევარდნაძე	მეწილე	-	2
შპს მარშე	ოჯახის წევრი აქციონერი	35	-
მარაგის შეძენა			
შპს მარშე	ოჯახის წევრი აქციონერი	6,338	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულება			
შპს მარშე	ოჯახის წევრი აქციონერი	515	406
გიორგი შევარდნაძე	მეწილე	3	3
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა			
შპს მარშე	ოჯახის წევრი აქციონერი	7,266	7,266
რეაბილიტაციის ვალდებულებები:			
უზრუნველყოფილი მოთხოვნა			
გიორგი მახათაძე	მეწილე	1,000	2,000

2017 წლის 31 დეკემბრისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დავაშირებულ მხარეებთან ოპერაციებს შემდეგი თანხით:

23. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	ურთიერთობა	2017 წელი
შპს მარშესგან მიღებული შემოსავლები	ოჯახის წევრი აქციონერი	27

ურთიერთობა	2017 წელი
უმაღლესი ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს გასამრჯელო	713

სს “გუდვილი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ შეცვალა ფინანსური დირექტორი. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიას რეაბილიტაციის გეგმის თანახმად გადახდილი ჰქონდა მესამე ტრანში.